




# საშურის მოახბა



№27-28 (309-10)

20 სექტემბერი, ორშაბათი, 2021 წელი

## პრემიერ - მინისტრი - საშურში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სურამის და საშურის ეპისკოპოს სვიმეონს ეწვია. მთავრობის მეთაურმა წმინდა ნიკოლოზის სახელობის მშენებარე ტაძარი დაათვალიერა და ტაძრის მშენებლობის შესახებ ინფორმაცია მოისმინა. მეუფე სვიმეონმა ირაკლი ღარიბაშვილი დალოცა და მის საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

მეუფე სვიმეონმა მთავრობის მეთაურს მშენებარე სამონასტრო-საგანმანათლებლო კომპლექსის "ახალი ბანა" შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც ტაო-კლარჯეთში მდებარე ბანას სამონასტრო კომპლექსის ანალოგია.

მეუფის თქმით, "ახალი ბანა" უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც ეკლესიის და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევით შენდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებლად ჩაერთვება აღნიშნული პროექტის განხორციელებაში.

პრემიერ-მინისტრთან ერთად, მეუფე სვიმეონთან იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა, ვიცე პრემიერი, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი და შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული ვალერიან მჭედლიძე.




## საშურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ვაქცინაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

თავდაცვის სამინისტროს მობილურმა ბრიგადამ წრომის, ცოცხნარის, ალის, ცხრამუხის, ქვიშხეთის და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მოსახლეობა "სინოფარმის" ვაქცინით აცრა.

ვაქცინაციის პროცესში, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიის და სოფლის ექიმების აქტიური ხელშეწყობით წარიმართა, 250-ზე მეტი ადგილობრივი ჩაერთო.

მობილური ჯგუფების მონაწილეობით მოქალაქეთა ვაქცინაცია შემდგომშიც გაგრძელდება.



## საშურის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ფლოევში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

პროექტი სასმელი წყლის ჭაბურღილთან ერთად სატუმბი სადგურის, სათავე ნაგებობის და ქსელის მოწყობის სამუშაოებსაც ითვალისწინებს.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. მისი ღირებულება 526 ათასი ლარია.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს "უნივერსალ სერვისი" ასრულებს.



## საშურის მუნიციპალიტეტში სასოფლო გზების რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება

აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტების სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე ასფალტის საფარი პირველად ეწყობა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი ღირებულება 965 505 ლარია.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია "პედეფ ჯორჯია" ასრულებს.





(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ბმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26)

1903 წლის 1 ივლისს ბაქოში დაიწყო ნავთის სარეწებისა და ქარხნის მუშათა გაფიცვა, უკვე 4 ივლისს მან საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომელსაც ფართო გამოხმაურება ჰქონდა საქართველოშიც. რსდმპ თბილისის კომიტეტი, თავის სპეციალურ ფურცელში, დაწერილებით მოუთხოვრებდა მუშებს ბაქოს ამბებს და მოუწოდებდა, მხარი დაეჭირათ მათთვის. 14 ივლისს, თბილისში, დაიწყო მუშათა დიდი გაფიცვა, რომელშიც 15 ათასამდე კაცი მონაწილეობდა.

„ბაქოს შემდეგ თბილისი, თბილისის შემდეგ კიევი, კიევის შემდეგ – ელისავეტგრადი და ბოლოს ოდესა. სამხრეთის მუშათა გრანდიოზული აჯანყება წარმოადგენს მოვლენას, რომელსაც ექნება უდიდესი მნიშვნელობა მთელი შემდგომი განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის” – წერდა 1805 წლის 1 აგვისტოს გაზეთი „ისკრა“.

ამ გრანდიოზული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო მიხაილოველი მუშების 14 ივლისის გაფიცვა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რევოლუციის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. ამავე დროს, მას საკმაოდ დიდი გამოძახილი ჰქონდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რადგან ივლისის საყოველთაო გაფიცვა სხვა ადგილებში სისხლისღვრით არ დამთავრებულა.

„ოფიციალურ გაზეთ „კავკასიში“ მთავრობა აცხადებს შემდეგს: 14 ივლისს სადგ. მიხაილოვოს დეპოში, საყვირის დაძახების შემდეგ, მუშებმა მიატოვეს მუშაობა და ნავთის მილის მუშებთან ერთად ...” – ასე იწყებდა 1903 წლის 14 ივლისის შემდეგ ყველა ქართული გაზეთი თავის პირველ გვერდს.

გაფიცვები მოითხოვდნენ რვასა-თიან სამუშაო დღეს, ხელფასის მომატებას, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებას, ავადმყოფი მუშებისათვის სრული ხელფასის მიცემას 3 თვის განმავლობაში, ამავე ვადით ხელფასის შენახვა მკურნალობის მიზნით შვებულების პერიოდში, რკინიგზის ყველა მოსამსახურის ბავშვთა უფასო სწავლებას რკინიგზის სასწავლებელში, სასწავლებლების გაფართოებას და მასწავლებელთა შტატის გადიდებას, მუშებისათვის უფასო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მოწყობას, პოლიტიკური საქმიანობის გამო დათხოვილი მუშების სამუშაოზე დაუყოვნებლივ აღდგენის წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე და სხვა.

გაფიცვის ერთ-ერთი მონაწილე სოკრატ ბაბლიძე, შემდგომში, ასე აღწერდა მიხაილოვოს დატრიალებულ მოვლენებს:

„1903 წლის 13 ივლისს ტიფლისიდან ხაშურში ჩამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: 1. ვანო ხვედელიძე, 2. ვანო ღურგლიშვილი და 3. „კურიერი“, აგივე სანდრო მერაბიშვილი, ჩამოსულების მიზანი იყო, რომ ხაშურის ორგანიზაცია და მუშები შეერთებოდნენ რკინის გზაზე განზრახულ გაფიცვას, რომელიც ეწყობოდა მთელი რუსეთის და კავკასიის მასშტაბით. ამავე დროს გაიმართა ფარული კრება ქალაქის გარე, ეგრედწოდებულ სააგურებთან, ღამის 10 საათზე. კრებას დაესწრნენ ხაშურის საყვირის მოძრაობის და შეკეთების დარგების თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურეები. კრება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, მას სდარაჯობდნენ მოწინავე შეიარაღებული მუშები. კრების ადგილი კრებაზე მოწვეულთ წინდაწინვე გაგებულ არ ჰქონდათ კონსპირაციის დაცვის მიზნით. მხოლოდ გზებზე დაყენებულმა საგანგებო დარაჯებმა იცოდნენ, თუ სად უნდა მომხდარიყო კრება, რომ იქ გამოეგზავნათ ამხანაგები. გზირები წინდაწინვე შეთანხმებული ნიშნით ნელი დასტვენით აგებინებდნენ კრებაზე მიმავალთ მათ იქ ყოფნას და საჭირო გაფრთხილების შემდეგ, აცნობებდნენ კრების ადგილს.

კრება გაიხსნა 10 საათზე. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ივანე ღურგლიშვილმა, ორატორი მოუწოდებდა მუშებს შეკავშირებისა და თავდასრული ბრძოლაკენ მშრომელთა მშრომლის, ბურჟუაზიის და თვით-მპყრობელი მთავრობის წინააღმდეგ. სიტყვა მეტად გრძნობიერი იყო. მან ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე, ადვლევდა და ბრძოლის განწყობილება გამოიწვია დამსწრეთა შორის. წინადადება გაფიცვის გამოცხადების შესახებ კრებაზე ერთსულოვნად და ერთხმად იქნა მიღებული. ამ კრებაზედვე დანაწილდა ფუნქციები, თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა და რა დავალება შეესრულებინა, იქვე ამორჩეული იქნა გაფიცვის კომიტეტი.

გაფიცვის დღეს – 14 ივლისს – გათენდა მშვენიერი დილა. ამომავალმა მზემ პირველი სხივები გადაავლო თავზე ხაშურს და ქვიშხეთის მთების მწვერვალები წითლად შეღებდა. მუშებიც ქალაქის ყველა ქუჩებიდან საყვირისაკენ გამოეშურნენ. საუზმის საყვირი თავის დროზე იქნა აშვებული, საუზმიდან დაბრუნებული მუშები ისევ მუშაობას შეუდგნენ და ყველა გულის ფანქვალთ მოელოდა გაფიცვის საყვირს, რომლის დრო დანიშნული იყო ათის ნახევარზე. გაფიცვის კომიტეტი თავის საქმეს აკეთებს – ის მუშებს ერთსულოვნებისაკენ მოუწოდებს.

საათმა დაჰკრა ათის ნახევარი, მუშა სიმონ ცქიტიშვილი ელვასავით მივარდა საყვირს და საყვირიც მრისხანეთ აღრიალდა. გაფიცვა გამოცხადდა, მუშები საყვირის ხმაზე, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგნენ, სამუშაოზე ხელი აიღეს, მხიარული ყიჟინით გარეთ გამოვიდნენ და ქალაქის მთავარი ქუჩისაკენ გაემართნენ.

გაფიცულთა მიტინგისათვის დანიშნულ იყო მოედანი სადგურის უკან. ყველა დანიშნულ ადგილს გამოცხადდა. მიტინგი გაიმართა. მიტინგზე გაფიცულებს მოუწოდებდნენ, დემონსტრაცია არ მოეხდინათ, ვინაიდან დემონსტრაციას შეიძლება მსხვერპლი მოყოლოდა, რადგან ადმინისტრაცია არ დაზოგავდა დემონსტრანტებს. კრებას წინადადება მიეცა დაშლილიყო უდემონსტრაციოდ. მაგრამ დამსწრენი მიტინგზე წარმოთქმული სიტყვებით იმდენათ იყვნენ ადფრთოვანებული, რომ არ დაიშალენ და დემონსტრაციის ჩატარების საკითხი ხალხში მოზღვავებულმა გრძნობამ გადასჭრა: მთელი კრება გაემართა მთავარი ქუჩით. მთავარი ქუჩის ბოლომდის არ ჩასულა. დემონსტრაცია შემობრუნდა ფოსტის ქუჩის მიმართულებით და გაემართა გორათისაკენ, სურამულას ხიდის გაღმით. (გორათა ეწოდება ხაშურის გარედ ლამაზ მადლობს, სადაც დღეს ძმათა სასაფლაო არის). გზაში დემონსტრანტებმა დახიეს სადღესასწაულოდ გამოფენილი სამფროვანი დროშები, მაგრამ დემონსტრანტებს არ მიუღწევიათ გორათამდე. იქ, სადაც სამი გზა იყრის თავს (ბორჯომის, სურა-

მის და ბათომის), წააწყდნენ 30 კაცისაგან შემდგარ ერობის დარაჯების შეიარაღებულ რაზმს, თავისი მეთაურით, რაზმს მიემატა სურამის ადგილობრივი რაზმის ჯარის კაცები, ვინმე ჯალათი აფიცრის-დიგურვის მეთაურობით.

მშვიდობიანი დემონსტრაცია შესდგა შეიარაღებული ძალის წინაშე, უეცრად გამოჩნდა ფოსტიდან რბენით მომავალი ხაშურის უბნის ბოქაული პოდკორნი დეპეშით ხელში და მოსვლისთანავე მიმართა დემონსტრანტებს ყვირილით და გინებით, „დაიშალენით, თქვე ავაზაკებო, ამავე წამში, მე ნებართვა მაქვს მთავრობისაგან, არც ერთი აქედან ცოცხალი არ გაგიშვათო.“

ხალხი შეტორტმანდა, შეიძლება მხეცი ბოქაულის წინადადებაზე კიდევ დაშლილიყვნენ, მაგრამ ვინ მოუცადა დაშლას, უეცრად გაიხმა ბოქაულის ბრძანება, „ესროლეთ“ და იგრიალა ერთბაშად თოფებმა. სროლა რამოდენჯერმე იქნა განმეორებული. დატრიალდა ჯოჯოხეთი. ვინც მოასწრო გაქცევა, გაიქცა, დემონსტრაციის ადგილას დარჩა 14 უსულო გვამი და რამოდენიმე ათეული დაჭრილი, დაჭრილთა რიცხვი სამოცზე მეტი აღმოჩნდა. დახოცილნი თითქმის მთლად, ორი თუ სამის გამოკლებით, მუშებისაგან შესდგებოდნენ, ისინი მიტანილ იქნენ რკინის გზის ქსენონში, საიდანაც შემდეგ წაიღეს ჭირისუფლებმა. ჟანდარმების ნებართვით ოქმების შედგენის შემდეგ ესენი აღმოჩნდნენ: 1. ვანო ვეშაპიძე ( მუშა), 2. სიმონ ტიტვიძე (მემანქანის. თან), 3. სიმონ ტაბატაძე (მუშა), 4. მათე თოთებაძე (მემუხრუჭე), 5. სვიმონ რიჟამაძე (დურგალი), 6. ისაკ ჩლაიძე (დურგალი), 7. დიმიტრი აბროლიშვილი (გლეხი), 8. ნიკოლოზ ტურაშვილი (ზეინკალი), 9. სვიმონ ლომინაშვილი (მუშა). 10. წყალობა ლომიძე (მუშა), 11. გიორგი კვერნაძე (მუშა), 12. გორა ჩაღუნელი (მუშა), 13. იოსებ სამხარაძე (მუშა), 14. პეტრე შუვალოვი.

ისიდორე რამიშვილი ასე გადმოგვცემს 1903 წლის 14 ივლისს ხაშურში დატრიალებულ მოვლენებს:

„1904 (უნდა იყოს 1903-თ.ლ.) წელში იყო, რომ რკინიგზის გაფიცვის დროს სურამის ბოქაულმა ხაშურში დახოცა გაფიცული მუშები – სურამელები და ჭალელები, ვეშაპიძეები და სხვები. მოძრაობის ახალი მიმდინარეობა, ახლად გამოღვივებული რევოლუციისათვის ყოველთვის ნაკლებად ფრთხილობენ პირდაპირ მიდიან საფრთხეზე. ასე ჩაიღინეს ხაშურელმა მუშებმაც, რომლებმაც ქვებით და კეტებით უპასუხეს შეიარაღებულ სალდათებს ბოქაულის მეთაურობით. ამ უკანასკნელთაც ეს უნდოდათ. ატეხეს სროლა და 8 თუ 10 კაცი დაეცა დახოცილ-დაჭრილები გზის ლიანდაგზე. შემზარავი სურათი იყო, როდესაც სურამში მოიტანეს და ეკლესიის გალაგანში დაასვენეს ერთი მოკლული მუშა. უცებ შეგროვდა ხალხი გალაგანში, გაკეთდა წრე, შუაში იყო დასვენებული მოკლული კაცი.

გაიხმა გულის განმგმირავი ხმა ქალისა, რომელსაც გვიან გაგვო ქმრის მოკვლის ამბავი და თავზარდაცემული მოიტრა გალაგანში ყვირილით: „გლახა, ჩემო გლახა!“ და ზედ მკერდზე დაეცა მკვდარს, რომლის უაზრო თვლები სადაც ცაში დაშტერებით იცქირებოდნენ. გულშეღონებული ქალი ძლივს ააცალეს ცხედარს. მე წამოვდექი წინ და მოკლე სიტყვა წარმოვთქვი. ჩემი სიტყვის დაწყებისას მოკურცხლა მღვდელმა იოსებ ბებიევამ. ყნოსვით ეგრძნო მკვდარი და მოსულიყო წესის ასაგებად. ჩემი სიტყვის დროს აქეთ-იქით იყურებოდნენ მსმენელები, ხომ ბოქაული არ მოდისო და ნელ-ნელა იშლებოდნენ. მაგრამ ბოქაულს ახლა ჩვენთვის არ ეცადა. მან შეასრულა თავისი „საგმირო საქმე“, დაღვრა სისხლი მაშვრალთა და განისვენებდა. ასეთი გოდება იყო იმ დღეს სოფელ ჭალაშიც და ბევრგან სხვაგანაც, სადაც დახოცილები მიახვენეს.

დემონსტრაციის დროს დახოცილთა დასაფლავებაზე ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა საპროტესტო მიტინგები, მკაცრი, ცეცხლის მფრქვეველი სიტყვებით.

ასეთი საპროტესტო სიტყვები წარმოსთქვეს სოფ. ზემო ჭალაში, რკინის მუშა (კვერის დამკვერელი) ვანო ვეშაპიძის დაკრძალვაზე, აქ ილაპარაკეს ამხ. ს. ბაბლიძემ და სანდრო მერაბიშვილმა. მეორე მიტინგი გაიმართა სოფ. არადეთში მემანქანის თანაშემწის სიმონ ტიტვიძის დაკრძალვაზე; აქ ილაპარაკეს: მიშა ტიტვიძაძემ, ს. ბაბლიძემ და ერთმა უცნობმა მუშამ, (გვარი არ ვიცი). მემუხრუჭე მათე თოთებაძის (გურული) დასაფლავებაზე მოეწყო საპროტესტო მიტინგი. სიტყვა სთქვა ეკლესიაში ექ. ხუდაღოვის ცოლმა. სიტყვა ზემიწვენით რევოლუციონური, ამაღლებული და მგრძნობიარი... სასაფლაოზე სიტყვა წარმოსთქვეს მიცვალებულის ბიძაშვილმა ნოე თოთებაძემ და ისაკ ჩლაიძემ: ამ დასაფლავებაზე მოუხდა მუშებს შეტაკება მღვდლებთან – მამამთავრიშვილთან და კვალიაშვილთან, რომლებმაც იწყინეს მეფისა და მთავრობის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები.

14 მოკლული, 65 დაჭრილი, გასამართლებული 50 კაცი და ხაშურიდან ჟანდარმების მიერ გაძევებული 45 კაცი, ცხადია, დიდ დანაკლისს შეადგენდა ისეთი პატარა მუშური რაიონისათვის, როგორც იყო ხაშური.“416 რსდმპ კავკასიის, კავშირის კომიტეტი 18 ივლისს სპეციალური პროკლამაციით მიხაილოვოში მომხდარ გაფიცვასთან დაკავშირებულ ამბებს ასე აუწყებდა მუშებს:

„ორშაბათს, 14 ივლისს, სადგურ მიხაილოვოში საშინელი სისხლისღვრა მოხდა. მთავრობის სიმხეცემ იქ ბევრად გადააჭარბა თბილისისას და ბევრი ადამიანიც იმსხვერპლა. ამ დღეს იქაური მუშები თბილისელებთან ერთად გაიფიცნენ. მათ პირველად ააფრიალეს თავისუფლების წითელი დროშა და მთელი დაბა შემოიარეს ძახილით: „ძირს თვითმპყრობელობა!“ ხალხი ხუთას კაცამდე იქნებოდა. ბოქაული 25 შეიარაღებული დარაჯით თან დაყვებოდა დემონსტრანტებს, მარა ვერ ბუდავდა მათ ხელის შეშლას, სანამ ჯარმა არ მოუსწრო სურამიდან. როცა დემონსტრანტები სადგურს მიუახლოვდნენ, გამოჩნდა თბილისის მატარებელი. პირველი გამარჯვებით გამხნეებული და ბრძოლის წყურვილით გატაცებული მუშები მიესივნენ მატარებელს და შეაჩერეს. სწორედ ამ დროს მოუსწრო ჯარმა /40 სალდათმა/. პრისტავმა უბრძანა, ესროლეთო. იგრიალეს დარაჯებისა და სალდათების თოფებმა, როგორც მოჭრილი ხე, ისე დაეცნენ მუშები მიწაზე, და ბევრი მათგანი – სამუდამოდ...“

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



**-ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 2021 -  
მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები**

ოლქის ნომერი	ოლქის დასახელება	კანდიდატის ნომერი	მერობის კანდიდატები
35	ხაშური	5	იოსებ ბუაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
35	ხაშური	25	ზვიადი ტეფნაძე "გახარია - საქართველოსთვის"
35	ხაშური	41	თენგიზ ჩიტიაშვილი "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"
35	ხაშური	53	სამსონ ხითარიშვილი "დამოუკიდებელი"

**-ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები - 2021 -  
მაჟორიტარების კანდიდატები ცალკეული მაჟორიტარული ოლქების მიხედვით**

ოლქის ნომერი	მაჟორიტარული ოლქი	კანდიდატის ნომერი	წარმდგენი	სახელი	გვარი
35	1	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ეკატერინე	პაპუაშვილი
35	1	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	რევაზ	ბარბაქაძე
35	1	25	. გახარია - საქართველოსთვის	ნოდარ	სახვაძე
35	1	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	მერაბ	ცხოვრებაძე
35	2	1	. „მესამე ძალა“	ირმა	ხორბალაძე
35	2	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	ელზა	კიკაძე
35	2	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ლელა	ხარატიშვილი
35	2	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	ზურაბ	კიკნაძე
35	2	25	. გახარია - საქართველოსთვის	ზაზა	ლონდაძე
35	2	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ალექსანდრე	სიმონიშვილი
35	3	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	შორენა	კიკაძე
35	3	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	გიორგი	ნოზაძე
35	3	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	ირმა	ჭადაშვილი
35	3	25	. გახარია - საქართველოსთვის	ალექსანდრე	კურტანიძე
35	3	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	გოდერძი	არჯევანიძე
35	4	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	თამაზ	გაგლოშვილი
35	4	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ვახტანგ	მურჯინელი
35	4	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	ნუგზარ	თუმანიშვილი
35	4	25	. გახარია - საქართველოსთვის	ნოვე	ტაბატაძე
35	4	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ლევან	გამრეკელი
35	5	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	ნიკოლოზ	ლომიძე
35	5	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ელენე	ნოზაძე
35	5	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	გია	მაისურაძე
35	5	25	. გახარია - საქართველოსთვის	ჯონდო	კაპანაძე
35	5	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ზაზა	სხილაძე
35	6	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	ნატო	კიკაძე
35	6	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ნანი	მჭედლიშვილი
35	6	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	მურად	ბირკაძე
35	6	25	. გახარია - საქართველოსთვის	კახაბერ	ლელუაშვილი
35	6	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	მუხრანი	ჩადუნელი
35	6	52	. საინიციატივო ჯგუფი - 0. დარეჯან კურტიანიძე, ნათელა კვინიკაძე, ნინო გოგოლაძე, ქეთევან ოქროპირიძე, მერაბ კაკიაშვილი	აქვსენტი	გოგოლაძე
35	7	1	. „მესამე ძალა“	ენგური	ნინიაშვილი
35	7	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	თამაზ	ჩოჩიშვილი
35	7	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	თემურ	ვარდოშვილი
35	7	9	. „ლელო“	კობა	ნოზაძე
35	7	25	. გახარია - საქართველოსთვის	ოთარ	მერაზადიშვილი
35	7	36	. „გირჩი“	ილია	კაპანაძე
35	7	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	დავით	მეტრეველი
35	7	51	. საინიციატივო ჯგუფი - 0. ჯაბა ომიადე, მამუკა ომიადე, პაატა ნოზაძე, კახაბერ ნოზაძე, გულთამაზ გულაშვილი	გენადი	გელაშვილი
35	8	1	. „მესამე ძალა“	მაია	ლონდაძე
35	8	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	იური	კვინიკაძე
35	8	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	დავით	გარადინსკი
35	8	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	გერონტი	სისვაძე
35	8	9	. „ლელო“	მზია	გრიგალაშვილი
35	8	25	. გახარია - საქართველოსთვის	ირინე	გელაშვილი
35	8	37	. „თავისუფალი საქართველო (ზაზა ხატიამშვილი, კანა კუკავა, გრიგოლ ჯოჯუა)“	ხათუნა	გელაშვილი
35	8	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	მაყვალა	მაისურაძე
35	9	1	. „მესამე ძალა“	ზურაბ	ლომსაძე
35	9	2	. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	სიმონ	ლომიძე
35	9	5	. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	ალექსანდრე	გოგალაძე
35	9	8	. „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	იური	გოგალაძე
35	9	9	. „ლელო“	კობა	ხაჩიძე
35	9	25	. გახარია - საქართველოსთვის	მიხეილ	ტეფნაძე
35	9	41	. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	ნოდარ	ლომიძე

**განმარტება**

მაჟორიტარული არჩევნებისათვის ჩვენი მუნიციპალიტეტი დაყოფილია ცხრა მაჟორიტარულ ოლქად. წარმოგიდგინებთ თითოეულ ოლქში შემავალ დასახლებებს.  
 №1. ხაშური (№№1,6,7,9,10,11,43,46 საარჩევნო უბნები);  
 №2. ხაშური (№№14,2,3,4,5,44 საარჩევნო უბნები);  
 №3. ხაშური (№№8,12,13,42,45,49,50 საარჩევნო უბნები);  
 №4. ოსიაური, წრომი ხცისი, ხალეები (ზემო ოსიაური, ახალსოფელი, ქვემო ოსიაური, ნარუჯები, დანიძეები, ღუდა; წრომი, ახალშენი, დიდი ყელეთი, პატარა ხაველითი, იმერლიანთ კარი; ხცისი, დიდი თხილნარა, კრისხევი, მიწობი, პატარა თხილნარა; დიდი ხალეები, პატარა ხალეები, მღვრიე წყალი, სარტყელა, დართა, ალექსანდრეს წყარო.  
 №5 ალი, წაღვლი- ალი, ბრილი, ნაბახტევი, დუმატხევი, ცხეთიჯვარი, ქინძათი,

კლდისწყარო, ზ. აძვისი, ახალუბანი, უწლევი, წაღვლი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვიანისწყარო, ქვემო ბროლოსანი, ყობი, ჩორჩანა, წაღვლი.  
 №6. ქვიშხეთი, ცხრამუხა-ქვიშხეთი, ბეღლეთი, ბუღბუღისციხე, მონასტერი, რუხიანთ უბანი, სავანის უბანი, სათიფე, სარმანიშვილის კარი, ტაშისკარი, ტეხერი, ყიფიანთ უბანი; ცხრამუხა, თავგეთი, რბონა, დამხეულა, ქაშუეთი, კოდიწყარო, ჯვართმუხა.  
 №7. გომი, ფლევი- გომი, აგარები, სატიფე, ვაყა, ქვემო აძვისი, ხიდისყური, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, ტკოცა.  
 №8. სურამი-დაბა სურამის სადაბო ცენტრი, ბიჯნისი, ზეკოტა, ურთხვა, პატარა ბეკამი, დიდი ბეკამი, ჩუმათელეთი.  
 №9 ცოცხნარა-ცოცხნარა, ქემფერი, ოძისი, ციფწყარო, ცედანი, წაბლოვანა, ნირვანა.















- ახალგაზრდა შემოქმედი -

ნანუკა კუჭაძე: მინდა, ჩემი ხელწერა მქონდეს და საკუთარი თავი წარმოვაჩინო, როგორც ინდივიდუალურმა მხატვარმა...

ჩემი რესონდენტი, ჯერ მხოლოდ 16 წლისაა და მასზე მრავალმხრივი ხელოვანი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც მინახავს. ნანუკა კუჭაძის შემოქმედებას, სოციალური ქსელიდან ვაღვნიშნავ. ინტერვიუზე შევთანხმდით და ჩემს წინ ძალიან საინტერესო, დიდი ადამიანი და ხელოვანი აღმოჩნდა. ხელოვანების ოჯახში დაიბადა, პროფესიული განათლება არ მიუღია, თუმცა, სულ ძიების, სწავლის პროცესშია და ამას, იმ ნიჭთან კოლაბორაციაში აკეთებს, რასაც გენეტიკას უმაღლის. ხატავს, წერს, ახალ მიმდინარეობას უყრის საფუძველს და ავითარებს. ნანუკა, ჩვენ ქალაქში ცნობილი კონდიტერის მარიამ კიკნაძის შვილია, მარიამის შექმნილი ტორტები, რომ ცალკე ხელოვნების ნიმუშია, ყოველდღიურად გვარწმუნებს ამაში. არც "ბუნებას დაუხვეწია დიდი ადამიანის შეილებაზე" და ნანუკაც სწორედ ამის მაგალითია. შეიძლება არც იცით, რომ ხშირად თქვენი ტორტი, რომელმაც ასე ალგაფრთოვანათ, სწორედ ნანუკას შემოქმედების და ნიჭის შედეგია. მოკლედ, მინდა, იცნობდეთ ნანუკა კუჭაძეს, როგორც დიდ ხელოვანს, პატარა ქალაქიდან.

გომარეობა მაძლევს. ძალიან ეტყობა ჩემ ნახატებს, იმ მომენტში, როგორ ვარ, რას ვგრძობ, ცოტა ხნის წინ, ჩემი მეგობარი დახატა, რომელმაც კონკურსში გაიმარჯვა და ემოციების ზღვა მოდიოდა პორტრეტთან. ამიტომაც ხატვა ჩემთვის გრძობების, ემოციების გამოხატვის ყველაზე კარგი საშუალებაა, მგონია, რომ სხვა სამყაროში გადავყავარ. ეს მდგომარეობა ჩემთვის, ყველაზე კარგი საშუალებაა, საკუთარი თავის გამოხატვის.

- საკუთარი ნახატების გაჩუქება თუ გიწევს და როგორი ემოციია ეს შენთვის?

- გაჩუქება ყველაზე რთული მომენტი ჩემთვის. მასხოვს, გაჩუქების პირველი ემოცია, რამდენად რთული გამოდგება ჩემთვის. მეგობარს დაეუხატე საყვარელი მომღერლის პორტრეტი, თუმცა, ძალიან გამიჭირდა გასხვისება მეტე, ახლაც მასხოვს ეს ემოცია, თუმცა, რომ დაეფიქრდი, ძალიან კარგი შეგრძნებაა, როცა შენი ნახატი სხვის სივრცეს ამშვენებს. დაახლოებით 50 ნახატი მაქვს სახლში და ყველა ჩემს ოთახში მაქვს გამოფენილი.

- რაიმე კონკურსში, ან გამოფენაში არ მიგიღია მონაწილეობა?

- ჯერ რაიმე მნიშვნელოვან კონკურსში არ მიმიღია მონაწილეობა. ლიტვაში გაიმარჯვა ჩემმა ნახატმა, ბაუსკაში, სკოლაშიც იყო გამოფენა ჩემი ნახატების, ამერიკულ გვერდზე გაიმარჯვა ჩემმა ნახატმა, ეს რაც მასხუნდება. თუმცა, გამოგიტყდებით, ამ მხრივ დიდი აქტიურობა არც მქონია.

- ვინაა შენი საყვარელი მხატვარი და თუ ახდენს გავლენას შენ შემოქმედებაზე?

- ჩემი საყვარელი მხატვრები კლიმტი და მოდილიანია, ახლოს არიან ჟანრობრივად, ჩემ თავს ვხედავ მათ შემოქმედებაში, ჩემს ემოციებს და ხშირად, მათ გავლენის ქვეშაც ვექცევი, მგონია, რომ ამ ეტაპზე ნორმალურია, თუმცა, მირჩევნია ჩემი ხელწერა მქონდეს და საკუთარი თავი წარმოვაჩინო, როგორც ინდივიდუალურმა მხატვარმა. სამომავლოდ, გამოფენის გაკეთებასაც ვეპე-მე მეგობრებთან ერთად.

- გარდა ხატვისა, ვიცი რომ მრავალმხრივი გოგონა ხარ, წერ კიდევ. ეს რას ნიშნავს შენთვის?


- ზოგადად, ყოველდღიურობაზე ვწერ, იმ თემებზე და ამბებზე, რაზეც ხალხს არ უყვარს საუბარი, ხან ვფიქრობ, რომ ხატვაზე მეტად მიყვარს წერა. უფრო მარტივია გრძობების გახატვა, მეტად თავისუფალი ვარ. ერთ-ერთი კონკურსი იყო ემიგრაციის თემაზე, სადაც პატარა გოგონას ემოციები და განცდები გადმოვიცი. ჩემს ნაწერებს, მხოლოდ სოც. ქსელებში ვაქვეყნებ ამ ეტაპზე. თუ მკითხავენ, სად ვხედავ ჩემ თავს, სად ყოფნა უფრო მომწონს, გიპასუხებთ, რომ მწერლობაში. ყოველდღიურად ვწერ, ჩემი ემოციები გამომაქვს, სტილს ვხვეწავ ვეწვევი.

- შენ შემოქმედებას, ერთი უსახელო მიმდინარეობაც დაემატა, რომელიც არანაკლებ საინტერესო და გამომსახველობითია. ამაზე გვესაუბრე...

- მიმდინარეობას ჯერ სახელი არ აქვს. ისტორია ასეთია: კარანტინის პერიოდში დავიწყე, სახეზე და სხეულის სხვა ნაწილებზე ხატვა, სახატავი ფურცლები გამომიქცია და ალტერნატივა მოუძებნე, და რადგანაც, მაშინ ზეთის საღებავებით არ ვხატავდი, გამოვიყენე გამოყენება. პირველი იყო ვან გოგის "მთვარიანი ღამე", რაც მოვიხატე სახეზე. მაშინდა იყო სტუმრად, თავისი სამი შევლით და მთელი ოჯახი მოვხატეთ ზეთის საღებავებით. იმდენად მომეწონა პროცესიც და შედეგიც, რომ ახლა მთელ დროს სახის მოხატულობებს უფრო ვუთმობ, ვიდრე ტილოზე ხატვას. თუმცა, პატარა ჩანახატებს მაინც ვაკეთებ ხოლმე. დინებას მიყვებით, რომ ამბობენ, მუშაობის პროცესი ზუსტად ვგეთია. არასდროს ვიცი რას ვაკეთებ, ან რითი დასრულდება, სრული იმპროვიზაციაა. გარდა იმისა, რომ სახეზე ვიხატავ, ფოტოებსაც თვითონ ვიღებ და ვამუშავებ კიდევ, ანუ, სრული კონტენტი მაქვს გაკეთებული, რაც უფრო მეტად საინტერესო და შემოქმედებითი პროცესია და ძალიან მზრდის.

სამომავლო პროფესია ჯერ არ აურჩევია, უჭირს ფსიქოლოგობასა და დიზაინერობას შორის არჩევანის გაკეთება. ხატვა და წერა მისი შინაგანი სამყაროს ნაწილია და ფიქრობს, რომ ეს ყოველთვის დარჩება მის ცხოვრებაში მთავარ ამბად. წარმატებებს ვუსურვებთ ნანუკას და იმედი გვაქვს, მისი ცხოვრება და კარიერა, ისეთივე საინტერესო და ფერადი იქნება როგორც მისი შემოქმედება.

თამარ ჭავჭავიძე



მელიც მნახველში ამ ნახატმა გამოიწვია.

- რა მასალას იყენებ?

- ყველა მასალას ვიყენებ, ფანქარს, ფლომასტერს, აკრილს, ტილოზეც ვხატავ. ტილოზე მხოლოდ ერთხელ დახატე. ძირითადად, ჩემი ცოდნა, როგორც აღვნიშნე, ინტერნეტის საშუალებით ვაღვარძავ, ბევრი საშუალებაა დღეს, რომ ინტერნეტით მიიღო ცოდნა და გააღრმავო შენი ინტერესებიც. პოულის ნახატმა დიდი სტიმული და მოტივაცია მომცა, რომ გამეგრძელებინა და ინტენსიურად დამეწყო მუშაობა და განვეითარებულოყავი, როგორც მხატვარი.

- შენს ოჯახის წევრებს როგორი დამოკიდებულება აქვთ შენი შემოქმედების მიმართ?

- ჩემებს ძალიან მოსწონთ ჩემი შემოქმედება. ბებიას და ბაბუას განსაკუთრებით, სულ მგულშემატკივრობენ, აინტერესებენ, რა დახატე, რა სიხალეები მაქვს, როგორ ვვითარდები. ყველანაირად ცდილობენ, ხელი შემიწყო და სამუშაო გარემო შემიქმნან.



- სახელოსნო თუ გაქვს და როგორია შენი სამუშაო გარემო, რა გჭირდება იმისთვის, რომ ხატო?

- კი, მაქვს პატარა სახელოსნო სახელოსნოსავით მოწყობილი სივრცე, სადაც ვმუშაობ. აუცილებელია იყოს ჩართული მუსიკა, რომელიც განწყობას მიქმნის, ჟანრს არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, ხატვის პროცესი შემოქმედებითი გახადოს და სიმშვიდე მომიტყოს, ძალიან სასიამოვნო და მედიტაციური პროცესია. არასდროს ვიცი, რას ვხატავ, ვუღებ და შემიძლება ამაზე ვაშლა. ინსპირაციას ძირითადად, ჩემი სულიერი მდ-

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე. მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27. E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499. D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.